პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 ოქტომბერი პარასკევი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 254 (14858)

საჭიროა ფინსვლა, საჭიროა ფინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მუშეობლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა ფევრის საერთო შრომით, საერთო ძალ-ღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXIV ყრილობას!

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ამხანაგებო!

ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი ემზადებიან სკკპ XXIV ყრილობის შესახვედრად. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებას ყრილობის მოწვევის შესახებ ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი აღფრთოვანებით, შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობით შეხვდა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთათვის ეს ყრილობისწინა დღეები კიდევ იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ემთხვევა საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის მზადებას. მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება ამ სახელოვანი წლისთვის აღნიშვნის შესახებ, რომელიც იქნება დიდი ოქტომბრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებული დღესასწაული გაგრძელება. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის ქართველი ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელნი ემზადებიან როგორც დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის, როგორც ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი ისტორიის ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის, ემზადებიან ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში მისი წარმატებებისათვის სიამაყის გრძნობით.

დღეს, ჩვენს პლენუმზე, მივიღებთ გადაწყვეტილებას საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ.

ამრიგად, ახლა, პარტიის ყრილობისა და რესპუბლიკის იუბილეს წინახანებში, მოგველის ძალიან დიდი, დაძაბული მუშაობა, უნდა დავრაზმოთ მშრომელები უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტეთ მოგვეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს პლენუმი, რომელიც განიხილავს სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომ გაძლიერებაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს.

სწორედ ამ საკითხებს უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება, რადგანაც პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობის, ესე იგი ადამიანებთან მუშაობის საკითხები, მათი აღზრდა, იდეური წრთობა, დარაზმვა კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად — ისეთი საკითხებია, რომლებიც ყოველთვის იყო და კვლავაც ყველაზე მთავარი, ყველაზე დიდმნიშვნელოვანია მთელ პარტიულ მუშაობაში, ეს საკითხები ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის არსი, საფუძველი.

აი ამიტომ არის, რომ დღეს, ჩვენს პლენუმზე, როცა განვიხილავთ სკკპ XXIV ყრილობისათვის, საქართველოს კომპარტიის ყრილობისათვის, რესპუბლიკის იუბილესათვის მზადების საკითხებს, უწინარეს ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით ვაუმჯობესებდეთ, სრულყოფდეთ ჩვენს ორგანიზაციულ-პარტიულ, პარტიულ-პოლიტიკურ, იდეოლოგიურ მუშაობას, წარგმართოთ იგი კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისათვის, ყველა მშრომელის მაღალი კომუნისტური რწმენის სულისკვეთებით, კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, იმ სულისკვეთებით აღზრდისათვის, რომ მზად იყონ მთელი თავიანთი ძალღონე, მთელი თავიანთი ენერგია მოახმარონ კომუნიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

აი რატომ არის, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს უნდა განვიხილავდეთ და ვწყვეტდეთ პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების მუშაობის პოზიციებიდან, ვაუმჯობესებდეთ და სრულყოფდეთ პარტიულ ხელმძღვანელობას სამეურნეო ორგანოებისადმი, წარვმართავდეთ მათს საქმიანობას, ამასთან არ ვეწეოდეთ მათს მაგივრობას.

რესპუბლიკის ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ, პარტიის სოლოქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება შეიძინეს.

ახლა ეს გამოცდილება, რომელიც გამდიდრდა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებისა და მოწყობის დღეებში, მთლიანად უნდა გამოვიყენოთ, კიდევ უფრო სრულყოთ რომ ღირსეულად შეხვედეთ პარტიის XXIV ყრილობას და რესპუბლიკის იუბილეს, სათავეში ჩავუდგეთ მასების შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას, მივაღწიოთ ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღმავლობას.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება, რომელიც უნარიანად რაზმავს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტებს, ყველა მშრომელთ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადასაწყვეტად. ეს ერთხელ კიდევ ცხადყო, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა, რომელმაც განიხილა ქალაქის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის მზადებისა და ღირსეულად შეხვედრის საქმეში. პლენუმმა მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილებანი, დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ახლა ხორციელდება.

პარტიის XXIV ყრილობისათვის მზადების დიდმნიშვნელოვანი ეტაპია რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კრებები მიმდინარეობს ორგანიზებულად, კომუნისტების დიდი აქტივობით, საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში, პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მიმდინარე სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის კომუნისტების დარაზმვის ნიშნით.

ანგარიშგება-არჩევნების დამთავრების შემდეგ ანალიზი უნდა გავუკეთოთ ნაკლოვანებებს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში, რომლებიც გამოვლინდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, დავსახოთ ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის, განვაზოგადოთ კომუნისტების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი, ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება, გავაუმჯობესოთ კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა, განვამტკიცოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ავამაღლოთ მათი ბრძოლისუნარიანობა.

პარტიის XXIV ყრილობისათვის და რესპუბლიკის იუბილესათვის მზადება მიმდინარეობს ყველა მშრომელთა დიდი შრომითი ენთუზიაზმისა და შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში. ამ ენთუზიაზმს, ამ აღმავლობას ცხადყოფს ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, ამას ცხადყოფენ ის ახალი, გადიდებული ვალდებულებანი, რომელიც მშრომელებმა იკისრეს.

ამ ყრილობისწინა, იუბილესწინა დღეებში მთელ რესპუბლიკაში ისმის შრომითი გადაძახილი. ყველა ცდილობს დადგეს შრომითს ვახტზე ყველა მზად არის ღირსეული წვლილი შეიტანოს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაში.

რესპუბლიკის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა შეასრულონ მიმდინარე წლის 23 დეკემბრისათვის, ხოლო მომავალი წლის ორი თვის გეგმა — 25 თებერვლისათვის, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის.

მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მხარი დაუჭირა რესპუბლიკის მოწინავე საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივას, რომლებმაც გადაწყვიტეს პარტიის მომავალი ყრილობა, საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი აღნიშნონ ახალი შრომითი გამარჯვებებით, და მიიღო დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ". ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა პარტიის სოლოქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ გაავრცელონ ეს წამოწყება და სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიის XXIV ყრილობისა და რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად.

დღეს შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები ღირსეულად ასრულებენ თავიანთ ავანგარდულ როლს, სათავეში უდგანან შეჯიბრებას, უჩვენებენ საქმისადმი შემოქმედებითი, შეგნებული, კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაღალ მაგალითს.

დასასრულს უახლოვდება მიმდინარე სამეურნეო წელი, რომელიც ამასთან ხუთწლედის დამამთავრებელი წელიც არის. ამიტომ შეგვიძლია შევაჯამოთ წინასწარი შედეგები, შევამოწმთ, თუ როგორ სრულდება ნაკისრი ვალდებულებანი, რა მაჩვენებლებით ვეგებებით ახალ წელს, პარტიის XXIV ყრილობის წელს, საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის წელს.

ვადამდე, 23 ოქტომბრისათვის შეასრულა რესპუბლიკის მრეწველობამ სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ხუთწლედის მიმდინარე დამამთავრებელი წლის ათი თვის გეგმა.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა შორის, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს მიმდინარე წლის დავალებანი, არიან კვების მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების საწარმოთა, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის, თბილისის საავიაციო, ელმავალსამშენებლო, ჩარხსამშენებლო, ელექტროვაგონშემკეთებელი, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნების, კამვოლ-მაუდის კომბინატის, ბათუმის მანქანათსამშენებლო და სოხუმის ხელსაწყოთსამშენებლო ქარხნების კოლექტივები.

სამრეწველო წარმოების ტემპის ზრდის დარგში ხუთწლედის დავალებანი 22 ოქტომბრისათვის შეასრულეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა სამრეწველო საწარმოებმა.

ხუთწლიანი გეგმა უკვე შეასრულეს კვების მრეწველობის სამინისტროს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საავტომობილო გზების სამინისტროს საწარმოთა, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, ჰიათურის მარგანეცის ტრესტისა და საქართველოს ჩაის ტრესტის, საქართველოს თამბაქოს ტრესტის, ახალდაბის ავეჯის ფაბრიკისა და ბევრი სხვა ქარხნისა და ფაბრიკის კოლექტივებმა. დიდი წარმატებანი მოიპოვეს ჰიათურის მარგანეცის ტრესტის საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ხუთწლედის დავალებანი ჯერ კიდევ 15 აგვისტოს შეასრულეს და ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ.

ეგებებიან რა პარტიის ყრილობას, საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, ამოქმედებენ რეზერვებს, რომლებიც წინათ გამოუყენებელი რჩებოდა, პოულობენ მეურნეობის გაძღოლის ახალ, უფრო ეფექტიან ხერხებს.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

მეგობრული შეხვედრა

28 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი** შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ი. ცედენბალს.**

საუბრის დროს, რომელიც გულთბილ, გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას შორის, საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ძმური ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხებზე, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

ხელი მოაწერეს ოქმს

28 ოქტომბერს კრემლში ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც განსაზღვრავს სსრ კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების გზებს.

ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

მონღოლეთის მხრივ — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა.

ოქმის ხელმოწერას ესწრებოდნენ ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ი. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, ვ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ნ. დემიჩევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ა. თ. კატუშევი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. ს. სოლოვიოვი და სხვები.

მონღოლეთის მხრივ ოქმის ხელმოწერას ესწრებოდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები: მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ლუვსანი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. მოლომჟამცი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ჟაგვარალი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. მაიდარი და სხვები.

(საქდესი).

საუბარი ვ. პ. მჟავანაძესთან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ 29 ოქტომბერს მიიღო თბილისში მყოფი ცნობილი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარე ბორის პოლევოი. მასთან ერთად იყო საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ბ. ნიკოლოვი.

ვ. პ. მჟავანაძე გულითადად მიესალმა ბ. ნ. პოლევოის, მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ უნიჭიერეს წარმომადგენელს, რომლის შესანიშნავ, პატრიოტულ ნაწარმოებებზე იზრდება ათასობით საბჭოთა ადამიანი.

საუბრის დროს ბორის პოლევოიმ ილაპარაკა საბჭოთა საზოგადოებრიობის ინიციატივით შექმნილი საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის საქმიანობაზე, მის როლზე მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის მებრძოლ საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებთან და მოღვაწეებთან საბჭოთა მშვიდობის მომხრეების ურთიერთობისა და კონტაქტების, გაფართოებაში.

ვ. პ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის, მისი მშვიდობის საბჭოთა მებრძოლების ხმა ავტორიტეტულად და მტკიცედ გაისმის საერთაშორისო ასპარეზზე. ლენინურ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას მხარს უჭერს ყველა ეროვნების ადამიანი.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის მნიშვნელობას, ვ. პ. მჟავანაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები შეუნელებელი ყურადღებით ეკიდებოდნენ მის საქმიანობას, რაც ხელს შეუწყობს ფონდის წარმატებით მუშაობას საბჭოთა ადამიანების აღზრდისათვის პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით.

ვ. პ. მჟავანაძე შემდეგ შეეხო საქართველოს მშრომელთა წარმატებებს, რომლებიც უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ემზადებიან სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის. ქართველი ხალხი ცდილობს პარტიის ყრილობა და რესპუბლიკის იუბილე აღნიშნოს ახალი მიღწევებით სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. გოგიჩაიშვილი და საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ბ. ბ. აბაშიძე. (საქდესი).

საბჭოთა დელეგაცია ჩილეში გაემგზავრა

29 ოქტომბერს სსრ კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ბ. ს. ძოწენიძის მეთაურობით მოსკოვიდან ჩილეში გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს სალვადორ ალიენდესათვის პრეზიდენტის ძალაუფლების გადაცემის ცერემონიაში.

შერემეტიევოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ა. იასნომმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქდესი).

სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ინფორმაციის დღე

29 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ინფორმაციის მორიგი დღე.

საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ ბ. ს. ბეწაძემ გააკეთა ინფორმაცია რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვა გააკეთა პროფესორმა ლ. შ. ფუნაძემ. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ



მრავალი ახალგაზრდა კომუნისტი შრომობს ჩვენი დედაქალაქის საწარმოებში ერთ-ერთი მათგანია ლენინური კომკავშირის ახალგაზრდა „ელექტროგამშვების" მექანიკოსი, ალ. ბ. ბეგმას დიდი გადაჭარბებით — 150-160 პროცენტით ასრულებს და მისი ნამუშევარი ყოველთვის კარგი ხარისხით გამოირჩევა. მოწინავე ხარატი აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა. ბარის ქარხნის პარტბიურომ წევრი და საკომკავშირო პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე, ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია ლენინის საიუბილეო მედლით.

სურათზე: ა. გოგიჩაიშვილი.

ფოტო ბ. სანაიასი.

ამხანაგ ვ. პ. მჭავანაძის მოხსენება

(დასასრული)

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თბილისის ქამვოლ-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“, რომლის კოლექტივმა 1967-1969 წლებში შრომის ნაყოფიერება გაზარდა 40 პროცენტით და მოგება—33 პროცენტით. ამასთან დამახასიათებელია, რომ 1969 წელს წინა წელთან შედარებით ამ კომბინატის სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვი 78 კაცით შემცირდა, ხოლო პროდუქციის გამოშვება შრომის ნაყოფიერების გაზრდის შედეგად გაიზარდა 3,2 მილიონი მანეთით.

სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში ბევრი, წინათ ჩამორჩენილი საწარმო დაეწია მოწინავეებს. მაგალითად, გასული წლის ივნისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებას, იმ საწარმოთა შორის, რომლებიც ვერ ასრულებენ არა მარტო სოციალისტურ ვალდებულებებს, არამედ საგეგმო დავალებებსაც კი, დასახელებული იყო თბილისის ჩარხსამშენებლო ქარხანა და გორის ბამბეულის კომბინატი.

დღეს კი, ჩვენს პლენუმზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩარხმშენებელთა კოლექტივმა დაძლია ჩამორჩენა და შესამჩნევად გაუმჯობესა თავისი მაჩვენებლები. პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 50 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა 24 პროცენტით და მეტად გაიზარდა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს ქარხნის ხელმძღვანელობამ, პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელმაც წარმატებით დაარაზმა კოლექტივი სიძნელეთა დასაძლევად და წარმატებას მიაღწია.

იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე გორის ბამბეულის კომბინატზე. აქაც, დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ საწარმოს მთელ კოლექტივს, კომბინატის მუშაობაში მოხდა ძირეული გარდატეხა, გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება კომბინატში 14 პროცენტით გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ თვითეულმა მუშამ 1969 წელთან შედარებით თითქმის ათას მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვა. მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით კომბინატის კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

დიდი სამუშაოები განხორციელდა ჩვენში კაპიტალური მშენებლობის დარგში. მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა საიჯარო სამუშაოთა ცხრა თვის გეგმა, ამაღლდა მშენებლობის მექანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის დონე, ამოქმედდა ბევრი საწარმოო სიმძლავრე და საამქრო, ქარხანა და ფაბრიკა.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 355 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებანი 1.380 ბავშვისათვის, ვადამდე შესრულდა თითქმის 22.000 მოსწავლისათვის სკოლების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა.

თბილისში მთავრდება კინო-საკონცერტო დარბაზისა და აეროვაგზლის, ახალი საავდმყოფოებისა და პოლიკლინიკების მშენებლობა, გურჯაანში გაზსადენისა და ბევრი სხვა ობიექტის მშენებლობა, რომელთა საექსპლოატაციოდ გადაცემა ვალდებულებებით გათვალისწინებულია სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ბევრი რამ გაკეთდა ჩვენში გაზიფიკაციის დარგში. წლის დამლევამდე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება დავალება და გაზით უზრუნველყოფილი იქნება რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობის 70 პროცენტი და სოფლის მოსახლეობის 30 პროცენტი. მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს აგრეთვე რკინიგზის და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა.

მაგრამ ვერ დავჯერდებით წარმატებებს, რომლებსაც მრეწველობის განვითარებაში მივაღწიეთ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს საწარმო, რომლებიც ვერ ასრულებენ პროდუქციის წარმოების, ახალი ტექნიკის ათვისების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების გეგმებს.

ზოგიერთი საწარმოო კოლექტივი საგეგმო დავალებებს ვერ ასრულებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ნაკისრ ვალდებულებებზე. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან თბილისის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანა, ბათუმის ელექტროხელსაწყოების ქარხანა, ცხინვალის მომინანქრებული სადენის ქარხანა, თბილისის კამვოლ-სართავი ფაბრიკა და ზოგიერთი სხვა.

ყოველად დაუშვებელია, რომ მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმა არ შეესრულებია ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მეოთხედს, სატყეო მეურნეობის კომიტეტის 16 საწარმოს.

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში ნელა ხდება ახალ სიმძლავრეთა ათვისება, ცუდად იყენებენ მოწყობილობას. ბევრი გვაქვს დაუდგმელი მოწყობილობა, კერძოდ, იმპორტული მოწყობილობა.

შესრულებული არ არის კაპიტალურ დაბანდებათა და ძირითადი ფონდების ამოქმედების ცხრა თვის გეგმა. ჯერ კიდევ არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მუშაობა.

ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა წლითიწლობით ჭიანურდება. მაგალითად, თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ 1958 წლიდან მიმდინარეობს, ხოლო ონკოლოგიისა და რენტგენოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მშენებლობა—1965 წლიდან.

ირღვევა მრეწველობისა და მშენებლობისათვის მაკომპლექტებელი ნაწარმის მიწოდების გრაფიკები. არის ნაკლოვანებანი ნედლეულითა და მასალებით მომარაგებაში. დამაკმაყოფილებლად ვერ დგას მრეწველობისა და მშენებლობაში მუშათა კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების საქმე.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტების, ყველა მშრომელთა ბრძოლას წარმოების რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასობრივი მოთხოვნილების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსახლეობის უზრუნველყოფას ამ საქონლით.

პარტიის XXIV ყრილობისა და რესპუბლიკის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ სოფლის მეურნეობის მშრომელები. ასრულებენ რა სკკპ XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე, ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაზარდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

შესრულდა ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, მარცვლეულის, ბორცის, რძის, მატყლისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების ნუთწლედის დავალებანი. წლის დამლევამდე გადაჭარბებით შესრულდება აგრეთვე სოფლის შეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები.

როგორც ყოველთვის კარგად იშრომეს ჩვენმა მეჩაიეებმა. წელს მათ მოგვცეს 238 ათასი ტონა ჩაი—33 ათასი ტონით მეტი, ვიდრე დავალებით იყო გათვალისწინებული, ხოლო სულ ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით წარმოებულია 115 ათასი ტონა ჩაი. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის დავალება მახარაძის რაიონის მეჩაიეებმა — აწარმოეს 46 ათას ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი—რესპუბლიკაში დამზადებულის მთელი ჩაის თითქმის მეხუთედი.

წარმატებებით გვახარებენ მევენახეებიც. წელს მათ მოკრიფეს 370 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი და ამით დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. უხვი მოსავალი მოიყვანეს რესპუბლიკის ყველა რაიონში, განსაკუთრებით გურჯაანის რაიონში. აქ სახელმწიფოს მიჰყიდეს 75.000 ტონაზე მეტი ყურძენი, იმდენი, რამდენიც რამდენიმე წლის წინათ მზადდებოდა მთელ საქართველოში.

უხვი მოსავალი აქვთ წელს მებაღეებსაც. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 126 ათას ტონაზე მეტი ხილი. მოსალოდნელია ციტრუსების უხვი მოსავალი.

ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაიზარდა ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება და დამზადება. ათი წლის წინათ მხოლოდ 50 ათას ტონა ბოსტნეულს ჭამზადებდით, წელს კი სამჯერ მეტი გვექნება. კარგად იმუშავეს ჩვენმა მეკარტოფილეებმაც, რომლებიც წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 60 ათას ტონაზე მეტ კარტოფილს. მარტო წალკის რაიონში დაამზადებენ ორჯერ მეტ კარტოფილს, ვიდრე 1959 წელს იყო დამზადებული მთელ რესპუბლიკაში.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წელი ჯერ არ დამთავრებულა. ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი. ჩვენს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა თავისებურება ის არის, რომ ისინი განუწყვეტლივ მიმდინარეობს. დამთავრდება თუ არა ჩაის ფოთლის კრეფა, უკვე ჩაის პლანტაციებს უნდა ამზადებდნენ მომავალი წლისათვის. ასევეა მევენახეობასა და მებაღეობაში. სამეურნეო წელი მათთვის მხოლოდ მაშინ დამთავრდება, როცა გაშენდება ახალი ვენახები და ბაღები. ამიტომ ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა აქედანვე უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ არსებული ნარგავების მოვლა და ახალი ნარგავების ჩაყრა დროულად და ხარისხიანად ხდებოდეს.

ბევრი საქმე აქვთ ახლა მეციტრუსეებსაც: უკვე დაიწყო ციტრუსების კრეფა და იგი უნდა ჩავატაროთ ორგანიზებულად, მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ. ამ საქმის წარმატებაც დამოკიდებული იქნება პარტიული და საბჭოთა ორგანოების, უწინარეს ყოვლისა აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანოების უნარიან, ოპერატიულ ხელმძღვანელობაზე, რადგან აჭარის წილად მოდის საქართველოში დამზადებული მთელი ციტრუსების დაახლოებით 70 პროცენტი, აგრეთვე აფხაზეთისა და რესპუბლიკის მეციტრუსეობის სხვა რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების უნარიან და ოპერატიულ ხელმძღვანელობაზე.

პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ეთერზეთოვანი კულტურებისა და მაღალხარისხოვანი ჯიშების თამბაქოს მოვლა-მოყვანას, რადგან მათი დამზადების გეგმა ჩვენში წლითიწლობით ვერ სრულდება.

საჭიროა დროულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ვაწარმოოთ მთელი მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები—კარტოფილის თხრა და სიმინდის ტეხა, სიმშემოდგომო ხორბლის თესვა, მზრალად ხვნა, საკმაოდ უნდა მოვამზადოთ საკვები, კარგად მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის.

დიდი სამუშაოები უნდა განხორციელდეს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, პარტიული და საბჭოთა ორგანოები დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ ყველა სახის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდისათვის, მათი ჯიშიანობისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებისათვის, კარგი საკვებით უზრუნველყოფისათვის, მეცხოველეობაში სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

ზოგიერთი რაიონის პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს არ განუხორციელებიათ საჭირო ღონისძიებანი საკვების დამზადების გასაუმჯობესებლად, რის შედეგადაც ახლა სიძნელეები გვაქვს თივისა და სხვა უხეში საკვების დამზადების, სილოსის მასის ჩადების საქმეში.

ჩვენში ჯერ კიდევ მცირეა ნაწველი, ამ მხრივ შარაშანდელთან შედარებით ერთგვარი წარმატებანი მოიპოვეს დაბლობი რაიონების სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში, მაგრამ საშუალოდ რესპუბლიკაში ეს მაჩვენებლები ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი.

მაღალი მთის ზონაში რძის საშუალო ნაწველი უნდა გავზარდოთ 1.000-1.500 კილოგრამამდე, ხოლო დაბლობ ზონასა და საგარეუბნო რაიონებში — 2.500-3.000 კილოგრამამდე.

უნდა ითქვას, რომ სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას კურსი, რომელსაც ვადგავართ მეფრინველეობის ყოველნაირად განვითარებასა და ფრინველის ხორცის წარმოების სწრაფად გადიდების საქმეში. კარგი ტემპით მიმდინარეობს გორისა და კოდის მეფრინველეობის ფაბრიკების, აგრეთვე მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკების მშენებლობა.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ყოველდღიურად უნდა უწევდნენ კონტროლს მეფრინველეობის ყველა ფაბრიკის — როგორც სახელმწიფო, ისე საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკების მშენებლობას, პრაქტიკულად უწყობდნენ ხელს მათს უსწრაფესად ამოქმედებასა და დაგეგმილ სიმძლავრეთა ათვისებას.

მთავრდება ხუთწლედის უკანასკნელი წელი. მაგრამ უკვე ახლა შეგვიძლია განვსაზღვროთ მომავლის გეგმები და განვავითაროთ საჭირო ტემპები, რომლებიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ მნიშვნელოვან აღმავლობას. ამის მისაღწევად უწინარეს ყოვლისა უნდა დავძლიოთ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს მიწათმოქმედებაში, მეცხოველეობაში, შრომატევადი სასოფლო-სამეურნეო პროცესების მექანიზაციაში, „სავსოფლტექნიკის“, სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროების ორგანიზაციათა მუშაობაში.

პარტიულმა კომიტეტებმა ყოველნაირად უნდა აამაღლონ სოფლად ეკონომიური მუშაობის დონე, იბრძოლონ მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში, დანერგონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მაღალი კულტურა.

მთელ ჩვენს მუშაობაში უწინარეს ყოვლისა იმით უნდა ვხელმძღვანელობდეთ, რომ ადამიანისათვის, მისი საჭიროებებისათვის ზრუნვა ყოველთვის იყო და არის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელ საქმიანობაში. ამიტომ, როცა დღეს განვიხილავთ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანებს სკკპ XXIV ყრილობისათვის და საბჭოთა საქართველოს იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით, ჩვენ აგრეთვე უნდა დავსახოთ ღონისძიებანი, რათა უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი, გავაუმჯობესოთ მათი ყოფა-ცხოვრების პირობები.

ამ მხრივ ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონელბრუნვა, გადიდდა სამრეწველო და სასურსათო საქონლის გაყიდვა, აშენდა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ბევრი დიდი საწარმო, ამაღლდა ვაჭრობის კულტურა როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ბევრად გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, გაიხსნა თანამედროვე მექანიზებული სახელოსნოები, კომბინატები და ატელიეები. კარგად მუშაობს ჩვენში შექმნილი სახელმწიფო კომიტეტი „საქკონსერვბილბოსტანი“.

მაგრამ ყოველივე ეს აშკარად არასაკმარისია, კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილებანი, რომლებიც წლითიწლობით იზრდება.

სამწუხაროდ, ზაფხულში გარკვეული მიზეზების გამო საქონელბრუნვა რესპუბლიკაში რამდენადმე შემცირდა და მესამე კვარტალის გეგმა ვერ შესრულდა. ამიტომ წლის დამლევამდე უნდა გამოვასწოროთ ეს მდგომარეობა. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ვაჭრობის საწარმოებს უნდა გაუწიონ საჭირო დახმარება და ისეთივე პასუხისმგებლობით მოეკიდონ საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას, როგორც სახალხო მეურნეობის ყოველ სხვა დარგში.

პარტიულმა და სახბჭოთა ორგანოებმა, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და მისმა საქალაქო და რაიონულმა სამმართველოებმა უნდა მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას ვაჭრობის ორგანიზაციაში, აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, გააფართოონ სავაჭრო ქსელი, უფრო გაბედულად დანერგონ ვაჭრობის პროგრესული მეთოდები, ამაღლონ მისი კულტურა, გაუმჯობესონ და სრულყონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად საჭიროა მთელი ჩვენი ორგანიზატორული საქმიანობა წარმართოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი, გავაუმჯობესოთ სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ იგი, გავხადოთ უფრო მასობრივი, ქმედითი, მიეღწიოთ შეჯიბრების საჯაროობას, შედეგების შედარებითობას, აღმოვფხვრათ ამ საქმეში არსებული ფორმალიზმი.

სამწუხაროდ, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებანია. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და ზუგდიდის რაიკომის მდივნების ინფორმაცია სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ეს პარტიული კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

ეს საქმე უნდა გამოვასწოროთ და სოციალისტური შეჯიბრება ავიყვანოთ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, კომუნისტები, ყველა მშრომელნი იღვაწადოთ ნაკისრ ვალდებულებათა უთუოდ შესრულების სულისკვეთებით. სოციალისტური შეჯიბრების ყოველი მონაწილისათვის ურყევი წესი უნდა იყოს: იკისრე ვალდებულება — შეასრულე, სიტყვა მიეცი — შეასრულე! თვითეულისათვის დევიზად უნდა იქცეს: დღეს ვიმუშაოთ უკეთ, ვიდრე გუშინ, ხვალ კი უკეთ, ვიდრე დღეს!

პარტიის XXIV ყრილობისა და რესპუბლიკის 50 წლისთავის აღსანიშნავი ახალი შრომითი წარმატებების მისაღწევად მშრომელთა დარაზმვაში დიდი როლი ეკუთვნით ჩვენს პროფკავშირებს, რომლებისთვისაც სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის, მოწინავე გამოცდილების გავრცელების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები საარსებო საქმეა. საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა კონკრეტული ღონისძიებანი ამ ღირსშესანიშნავი თარიღების ღირსეულად შეხვედრისათვის და ახლა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ეს ღონისძიებანი შესრულდეს და პრაქტიკულად განხორციელდეს.

სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის მზადებაში აქტიურად ჩაება რესპუბლიკის კომკავშირი, რომელმაც გააჩაღა შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის სახელობის საამქროს, ბრიგადის, რგოლის წოდების მოპოვებისათვის. ფართოვდება კომკავშირულ ორგანიზაციათა შეფობა სასოფლო რაიონებისადმი. ამას წინათ აიღო სტატი შრომითი საქმეების ესტაფეტამ, რომლის მარშრუტები გავა დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე.

სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მასობრივ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობა გააჩაღეს. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი საწარმოო კოლექტივების მრომითი წარმატებების მისაღწევად ბევრი რამ გააკეთეს იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა — ჩვენმა ლექტორებმა და მომხსენებლებმა, აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა, პოლიტინფორმატორებმა და პოლიტორგანიზატორებმა.

ახლა სალექციო პროპაგანდის შინაარსს, მის მიმართულებას უნდა განსაზღვრავდეს პარტიის XXIV ყრილობისა და რესპუბლიკის იუბილესათვის მზადება. ჩვენმა პარტიულმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რეგულარულად ეწყობოდეს ლექციები მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, მუშებისა და კოლმეურნეებისათვის, მოსამსახურეებისა და ახალგაზრდობისათვის სკკპ და საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხებზე, ჩვენი რესპუბლიკის 50 წლის მიღწევებზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

ჩვენ ხშირად ელაპარაკობთ იმაზე, რომ პროპაგანდისტულ, მთელ ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ახლა, პარტიის XXIV ყრილობისათვის, რესპუბლიკის იუბილესათვის მზადების დღეებში ეს წესად უნდა გადაიქცეს: თვითეული ხელმძღვანელი, თვითეული პასუხისმგებელი მუშაკი უნდა კითხულობდეს ლექციებს, პოლიტიკურ მოხსენებებს, ესაუბრებოდეს მუშებს, კოლმეურნეებს, მოსწავლე ახალგაზრდობას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აღმზრდელობითი მუშაობის წარმატებას განსაზღვრავს ხელმძღვანელ მუშაკთა ყოველდღიური და აქტიური მონაწილეობა ამ მუშაობაში.

პარტიული განათლების სისტემაში დაწყებული ახალი სასწავლო წელი ახალი ეტაპი უნდა გახდეს მარქსისტულ-ლენინური განათლების დონისა და ეფექტიანობის ამაღლებაში, პარტიის ისტორიის, თეორიისა და პოლიტიკის ღრმად შესწავლაში, რაც მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ამოცანებს.

ზოგადთეორიული სწავლების სრულყოფასთან ერთად უნდა გავაუმჯობესოთ კადრების ეკონომიური მომზადება და გადამზადება, რადგან მტკიცე იდეური მრწამსის ჩანერგვა, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის შეგნება, მაღალი შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობა მოითხოვს ღრმად გვესმოდეს პარტიის ეკონომიური პოლიტიკა, კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივები.

უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა, გავაუმჯობესოთ ლექტორიუმებისა და სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობა, უფრო ხშირად მოვაწყოთ თემატური საღამოები, კითხვა-პასუხის საღამოები, ახალგაზრდობის შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, რევოლუციის ვეტერანებთან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის მონაწილეებთან, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირებთან, შრომის გმირებთან.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას ანალიტიკოსის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების, წერილიერ პარტიის ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისა-თვის მზადებასთან დაკავშირებით ბევრ საინტერესო, შინაარსიან მასალას ბეჭდავენ გაზეთები „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „სოფლის ცხოვრება“, „სოვეტაკან ეროსტანი“, ზოგიერთი საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთი.

კარგ მასალებს ბეჭდავს გაზეთი „კომუნისტი“ რუბრიკით „სკკპ XXIV ყრილობის შესახვედრად“. საინტერესოა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხებისადმი მიძღვნილი თემატური გვერდები. საყურადღებო ინიციატივა გამოიჩინა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“, რომელმაც მოაწყო გამსვლელი რედაქცია ენგურჰესის მშენებლობაზე, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. გაზეთმა „ეენერგეტიკილისმა“ ამას წინათ საინტერესო წერილი დაბეჭდა იმის თაობაზე, თუ როგორ იბრძვიან გარდაბნის საგარეუბნო რაიონის პარტიული ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსავლიანობის გადიდებისათვის, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისის მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

ამ მომართულებით მუშაობა უნდა გავაფართოოთ. ღირსშესანიშნავი თარიღების მოახლოების ყველაზე მაღლდება პრესის მუშაკების, ყველა ჩვენი ჟურნალისტის როლი და პასუხისმგებლობა. უკეთ უნდა გავაშუქოთ პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, უფრო მკაფიოდ აღვწეროთ მოწინავეთა, წარმოების ნოვატორთა გამოცდილება, ფართოდ გამოვაქვეყნოთ სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ბევრი რამ უნდა გაკეთონ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის ჩვენი კულტურის მოღვაწეებმა, ჩვენმა მწერლებმა და მეცნიერებმა, მხატვრებმა და კომპოზიტორებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა.

საიუბილეო დღეებში თეატრები დადგამენ საუკეთესო სპექტაკლებს, ეკრანებზე გამოვა მთელი რიგი ახალი მხატვრული და დოკუმენტური ფილმები. მათ შორის წამყვანი ადგილი უნდა დაიკავონ რევოლუციური თემატიკისადმი მიძღვნილმა ნაწარმოებებმა, ჩვენი ხალხის გმირული წარსულის ისტორიიდან, ნაწარმოებებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლი გამოჩენილი რევოლუციონერების, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში რესპუბლიკის მიღწევების შესახებ.

მზადდება ქართველი მწერლებისა და პოეტების საუკეთესო ნაწარმოებთა საიუბილეო გამოცემები, იქმნება ახალი მუსიკალური ნაწარმოებები, ჩვენი მხატვრების, მოქანდაკეებისა და გრაფიკოსების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებისა და ხალხურ ხელმარჯვეთა შემოქმედება წარმოდგენილი იქნება საიუბილეო სამხატვრო გამოფენაზე.

პარტიის ყრილობასა და რესპუბლიკის იუბილეს მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდებიან ჩვენი მეცნიერები, რომლებიც ბევრ რამეს აკეთებენ იმისათვის, რომ მეცნიერება გახდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიური საწარმოო ძალა. საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში ჩვენი მეცნიერები, უმაღლესი სკოლის მუშაკები, ჩვენი სტუდენტობა მოაწყობენ თეორიულ კონფერენციებს, სამეცნიერო სესიებს დიდი თეორიული და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის აქტუალურ საშეცნიერო პრობლემებზე.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაამართება მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები, მოეწყობა საზეიმო საღამოები, თავიანთ ოსტატობასა და ფიზიკურ წრთობას გვიჩვენებენ ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენები.

ერთი სიტყვით, ყველა უნდა მონაწილეობდეს სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის მზადებაში, ეს მზადება უნდა იგრძნობოდეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მთელ ცხოვრებაში, მთელ ჩვენს მუშაობაში. ამ მუშაობაში არ არის წვრილმანები, აქ ყველაფერი დიდმნიშვნელოვანია, ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ ამ ღირსშესანიშნავი თარიღებისათვის მზადებაში ჩავაბათ მთელი მოსახლეობა, ყველა მშრომელნი, რომ ამ სადღესასწაულო დღეებისათვის ემზადებოდნენ ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში.

ნამდვილი პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინეს რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს 50 მილიონი ხე დარგონ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს ინიციატივა. ეს ძალიან კარგი საქმეა, და იგი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

რუსთავის მცხოვრებლებს კარგ საჩუქარს უმზადებენ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, რუსთავის საქალაქო საბჭო და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივი. 1971 წლის 25 თებერვალს ქალაქის ქუჩებში გაივლის პირველი ტროლეიბუსი.

ღირსეულად შევხვდეთ რესპუბლიკის იუბილეს — ეს იმას ნიშნავს, რომ ყველგან და ყველაფერში დავამყაროთ სანიმუშო წესრიგი, კარგად მოვაწყოთ ჩვენი ქალაქები და სოფლები, გავამწვანოთ, დავამშვენოთ, მივაღწიოთ ჩვენი მოედნებისა და ქუჩების სანიმუშო სანიტარულ მდგომარეობას, გავაძლიეროთ ბრძოლა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, ყოველგვარ დანაშაულებრივ და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა გააძლიეროს ბრძოლა დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, მფლანგველობისა და უყაირათობის წინააღმდეგ, გაადიდონ ხელმძღვანელი კადრების ყველა თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. მაგრამ ზოგიერთ ამხანაგს აქედან შესაბამისი დასკვნები არ გამოუტანია. ზოგიერთი სამინისტრო

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXIV ყრილობას!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ამთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი ემზადებიან ამისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას, აღნიშნონ ლენინის საიუბილეო წელი — ნუფლელდის დამამთავრებელი წელი — ახალი წარმატებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საქართველოს მშრომელებისათვის ეს წელი ემთხვევა ღირსშესანიშნავ ისტორიულ მოვლენებს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

პარტიის ყრილობისა და რესპუბლიკის იუბილესათვის მზადების დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, საზოგადოებრივი და შრომითი საქმიანობის ყველა სფეროში დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მიღწეულ წარმატებებსა და ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, სკკპ მომავალ XXIV ყრილობასთან დაკავშირებით პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომ გაძლიერებაზე ალაპარაკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მეჟავანაძის მოხსენების გამო გამართული კამათის მონაწილეებმა.

აფხაზეთის მშრომელებისათვის, — თქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კოსტავამ, — მომავალი ღირსსახსოვარი თარიღები ემთხვევიან ჩვენს აფტონომიურ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს, ჩვენი რესპუბლიკა ხომ პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად წარმოიშვა.

ამ დღეებში პარტიული კომიტეტების მუშაობის დღის წესრიგში მთავარი ადგილი უჭირავს წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენების საკითხებს. აფხაზეთის მრეწველობის მშრომელებმა ჯერ კიდევ 8 ოქტომბერს, ერთი თვით ადრე, ვიდრე ვალდებულებთ იყო გათვალისწინებული, შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ხუთწლიდის დავალებანი. ამ პერიოდში წარმოების მოცულობა 51,6 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება ყოველწლიურად 5-7 პროცენტით იზრდება.

აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით მთელი რიგი გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ამაღლებისათვის, იმ ჩამორჩენის დაძლევისათვის, რაც მრავალი წლის მანძილზე იყო ზოგიერთი მისი დარგის განვითარებაში. ამ ღონისძიებათა შედეგად, მაგალითად, ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა 1953 წლითან შედარებით გაიზარდა 41 პროცენტით, მიმდინარე წელს დამზადდება 3,2-ჯერ მეტი ციტრუსები, ვიდრე შარშან.

ორატორმა იოსებ პარავაკაჯ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ბრძოლისუნარიანობის ამაღლების, პარტიულ და საბჭოთა საშუშაოზე აბალაზრდა კადრების დაწინაურების შესახებ. მან აღნიშნა, რომ პარტიის რიგებში მიღებულთა შორის ჭაბუკები და ახალგაზრდა ოჯახთა და კოლმეურნეთა შვილები ნელი, გაუმჯობესდა პარტიულ-პოლიტიკური ინფორმაცია. გადაუჭრელ ამოცანებს შორის მან დასახელა ტაქნიკის, ხუსტად გამოყენება სოფლის მეურნეობაში, სიმინდის მცირე მოსავლიანობა და მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობა.

მიმდინარე ლენინური საიუბილეო წელი, — თქვა მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე-მერგოლეგრამა ტ. ჩხაპლიმ, — ჩვენთვის განსაკუთრებულ წარმატებათა წელია. რაიონის მეჩაიეებმა ვადამდე შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა, ნაცვლად გათვალისწინებული 194.600 ტონისა მოკრიფეს 211.000 ტონა ნარისხოვანი ჩაის ფოთოლი და წლიური დავალება 112,5 პროცენტით გაანაღდეს. გეგმის ადამეგრებით მოკრიფილია 5.074 ტონა ჩაი, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 5.400 კილოგრამამდე ოქრა“.

დიდი წარმატებები მოვიპოვეთ მეაბრეშუმეობის, მებოსტნეობის დარგშიც. რაიონის მშრომელებს განზრახული აქვთ ჩაბარონ სახელმწიფოს 8 ათას ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი ნაცვლად დაგეგმილი 6 ათასი ტონისა. რეალმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ადადგენიტა ღირსეულად შეხვედეს პარტიის XXIV ყრილობას. ჩვენს რაიონს მიმაგრებული აქვს 4 ჰექტარი პლანტაცია. წლიულს უნდა მოგვკრიფოს 38 ტონა ნარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს გეგმა 15 აგვისტისათვის შესრულდა. პირადად მე 0,6 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 ტონისა მოკრიფეს 6 ტონა ნარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩვენი რეალის წევრებს მიაჩნიათ, რომ თვითეული მუშა და კოლმეურნე ასეთივე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მიუდგება საქმეს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ღირსეული შესაბამის პერიოდ-ში, ანუ ოქტომბერ-ნოემბერ-ში, ეარ-ეს ეარ-ეს ეარ-ეს

კომუნისტი
ბიბლიოთეკა

გუშინ, 29 ოქტომბერს, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის რესპუბლიკური საზოგადოების დარბაზში გაიმართა ქართველ მშვიდობისმომხრეთა აქტივის კრება. სურათზე: მარცხნივ — საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარე, მწერალი ბ. პოლევოი ტრიბუნაზე; მარჯვნივ — კრების დარბაზში.

ფოტო ზ. სპანიძისა და ზ. ბესარიონისა.

საბჭოთა შერის მოვიდოგისა და მეგოგროგისათვის

ქართველ მშვიდოგის მომხრეთა აქტივის კრება

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის რესპუბლიკური საზოგადოების დარბაზი ხალხითაა სავსე. აქ, 29 ოქტომბერს გაიმართა ქართველ მშვიდობისმომხრეთა აქტივის კრება. დამსწრეთა შორის არიან მეცნიერები და მწერლები, მუშები და კოლმეურნეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები. დღის წესრიგშია საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელშეწყობი რესპუბლიკური კომისიის შექმნის საკითხი.

პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბოლიშაშვილი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარე წერალი ბ. პოლევოი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი დ. ნიკონოვი, ქართველი საზოგადო მოღვაწეები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა შ. ჯაფარიძემ. იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ განუზომლად გაიზარდა მშვიდობის ძალები, რომლებიც კვლავ იზრდებიან. ამ ძალების ავანგარდში დგას საბჭოთა ხალხი. მშვიდობის საქმის განმტკიცებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ქართველ მშვიდობისმომხრეებს. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ უჭერენ ხმარს საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელშეწყობი კომისიის შექმნის იდეას, რომელიც მიაჩნიათ ეფექტიან საშუალებად და რვალურ შესაძლებლობად — თავიანთი ფულადი სახსრებით ხელი შეუწყონ თერმოატომური ომის თავიდან აცილებისათვის მოძრაობის კეთილშობილურ მიზნებს.

სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანმა ნ. ვასაძემ, მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლა შ ი, თქვა მან, აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა ქალები. საქართველოს ქალები იჩენენ დიდ აქტივობას, ინიციატივას, ესწრაფვიან იყვნენ მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკურმა საბჭომ შარშან მშვიდობის ფონდში შეიტანა 50 ათასი მანეთი, გაგზავნა სამი ათასზე მეტი ამანათი, რომლებშიც იყო მედიკამენტები და სასკოლო ნივთები გმირი ვიეტნამელი ქალებისა და ბავშვებისათვის.

ამხ. ვასაძე გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელშეწყობი რესპუბლიკური კომისიის შექმნას მიიწონებს საქართველოს მთელი საზოგადოებრიობა.

მეზობარე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ფლენტმა. იგი ლაპარაკობს მშვიდობისა თ ვ ი ს მოძრაობაში ქართველი ინტელიგენციის მონაწილეობაზე, იმაზე, რომ საბჭოთა მწერლებს თავიანთ ძირითად მიზნად მიაჩნიათ შემოქმედებითი საქმიანობა მშვიდობისა და პროგრესის საკეთილდღეოდ. ჩვენს დროში არ-არის იმაზე მაღალი და კეთილშობილური მიზანი, რომ კაცობრიობას თავიდან ავაცილოთ ატომური ომის საფრთხე.

— მთელი მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანი იმედით შეაყურებს საბჭოთა კავშირს, — განაცხადა თბილისის დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობმა ზეინკალმა ი. სულოდვა. — ვამაყობთ, რომ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ხალხი დგანან მშვიდობის სადარაჯოზე.

მშვიდობა ძვირფასია ყველასათვის, ვინც ესწრაფვის შრომას, რომელიც ხალხებს უქმნის ცხოვრების სიკეთეს, უზრუნველყოფს მათ თავისუფლებასა და ბედნიერებას.

შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოუსმინეს ბორის პოლევოის. მან დაწერილებით გააშუქა საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ამოცანები. მშვიდობის ფონდის შექმნასა და შევსებაში მკაფიოდ ვლინდება კომუნისტთა ლენინური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი.

მშვიდობის ფონდის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ მისი დამფუძნებელი წევრები — საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირი, აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტი, საბჭოთა კავშირის მეცნიერთა პაგუოშის კომიტეტი, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტი, სსრ კავშირში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეწყობი ასოციაცია, წითელი ჯვრის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომი, „ცენტროსოიუზი“.

ადგილებზე მაორგანიზებ ე ლ ი საწყისია მშვიდობის ფონდის ხელშეწყობი კომისიები. ორატორს მოჰყავს ფაქტები, მაგალითები, რომლებიც ახასიათებენ ფონდის ხელშეწყობი კომისიების მუშაობას, ლაპარაკობენ თუ რა სოლიდარობას უწევენ საბჭოთა ადამიანები ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათ ვ ი ს, მშვიდობისათვის. მაგალითად, ტანკერ „ფოთუ“ გაიმართა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობისადმი მიძღვნილი მატნერგი. მიტინგის მონაწილეებმა მოუწოდეს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ყველა გემებს ერთი სამუშაო დღის გამოშუშავება გადარიცხონ იმ შამაცი ხალხის ბავშვთა დახმარების ფონდში, რომელიც იცავს სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას.

მშვიდობის ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგი ის არის, აღნიშნავს, ამხ. პოლევოი, რომ საზღვარგარეთის საზოგადოებრიობა, როცა მის მუშაობას ეცნობა, რწმუნდება, რომ ყალბია ბურჟუაზიული პროპაგანდა, რომელიც ცდილობს სახელი გაუტეხოს ჩვენი ხალხის ბრძოლას მშვიდობისათვის. ფონდის მთელი მუშაობის ინტერნაციონალური მიზანმიმართულობა პოპულარობას უქმნის მას სამშობლოს ფარგლებს გარეთ.

ქართველ მშვიდობისმომხრ ე თ ა აქტივის კრების მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება, რომელშიც მოუწოდეს რესპუბლიკის მოსახლეობას ფართო მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდისათვის სახსრების შეგროვებაში.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდში სახსრების შეგროვების ორგანიზაციისა და კოორდინაციის მიზნით დაწესდეს ფონდის ხელშეწყობი საქართველოს რესპუბლიკური კომისია და აგრეთვე კომისიები ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში, ქალაქებში, რაიონებში, რესპუბლიკის დიდ საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ საზოგადო მოღვაწეები, მარჯვენელ საწარმოთა სახელოვანი ადამიანები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელშეწყობი საქართველოს რესპუბლიკური კომისიის ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია შ. ჯაფარიძე. (საქდესი).

საბჭოთა კოსმონავტები ამერიკაში

ნიუ-იორკი. 29 ოქტომბერი. (საქდესი). საბჭოთა კოსმონავტებმა ა. გ. ნიკოლაევმა და ვ. ი. სევასტიანოვმა თავიანთი მოგზაურობა შეერთებულ შტატებში, რომელიც 10 დღის განრძელდა, ნიუ-იორკში დაამთავრეს. საბჭოთა კოსმონავტები ამერიკის შეერთებულ შტატებში ამყოფებოდნენ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს მოწვევით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის უკანასკნელ დღეს საბჭოთა კოსმონავტები მიიღო ნიუ-იორკის მერმა ჯ. ლინდსეიმ.

ნიუ-იორკში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ა. გ. ნიკოლაევმა და ვ. ი. სევასტიანოვმა აღნიშნეს, რომ მათი მოგზაურობა სასარგებლო იყო და ხელი შეუწყო კონტაქტებისა და მეგობრული კავშირურთიერთობის განმტკიცებას ორივე ქვეყნის კოსმონავტთა შორის.

ბეირუთი

იორდანიის ახალი მთავრობა

ბეირუთი. 29 ოქტომბერი. (საქდესი). იორდანიაში შეიქმნა ახალი მთავრობა. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ვასფი ატ-ტელი, რომელიც წინათ რამდენჯერმე ყოფილა პრემიერ-მინისტრად. წინა მთავრობა, რომელსაც აამედ ტუკანი მეთაურობდა, გადადგა.

როგორც ამბის რადიო იუწყება, ვასფი ატ-ტელი ამავე დროს გახდა თავდაცვის მინისტრი. ახალ კაბინეტში საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია აბდულა სალაჰი, შინაგან საქმეთა მინისტრად—მაზენ ალ-ჯალუნი, ფინანსთა მინისტრად — აამად ალ-ჯალუნი, კულტურისა და ინფორმაციის მინისტრად — ადნან აბუ ოდა.

ჩილეს ამბების გამო

პანანა. 28 ოქტომბერი (საქდესი). ჩილეს პოლიციამ გამოაცხადა, რომ დაპატიმრებულია ხოსე ხაიმე მელგოსა, რომელმაც ეხროლა ჩილეს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს გენერალ რენე შნეიდერს, იუწყება პრესა ლატინას საააგენტოს კორესპონდენტი სანტიაგოდან. გამოიცნეს და დაპატიმრეს აგრეთვე გენერალ შნეიდერის მკვლელობის 6 უშუალო მონაწილე. ესენი არიან — ალენის პროვინციის ყოფილი გუბერნატორი ატიერო კოსმელი ესტებანი, ლატიფუნდისტები კლაუდიო დე ტორო და რობერტო ბინე ტ ლამსარესი, ადგოკატი გუსტავო ვალენსუელა, პოლიტიკური პოლიციის ყოფილი მოსამსახურე ვოლფგანგ ხორხე მელგოსა და გაურკვეველი საქმიანობის პირი უმბერტო ლუის კონტერასი.

სამხედრო დესანი ეკვადორში

ლონდონი. 28 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის საგაზეთოს კორესპონდენტი კიტოდან იტყობინება, ეკვადორის პრეზიდენტმა ხოსე ველასკო იბარამ გასცა ბრძანება ქვეყანაში სამხედრო წესების შემოღების შესახებ.

ეს ღონისძიება განხორციელდა ბასთან დაკავშირებით, რომ მოიტაცეს ეკვადორის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი გენერალი სესარ სანდოვალი.

სტუდენტებს ტყვია დაუშინეს

დელი. 28 ოქტომბერი. (საქდესი). ორი სტუდენტი დახოცეს და ორი მძიმედ დაჭრილი მიიყვანეს ჰოსპიტალში იმის შედეგად, რომ ინდოეთის უტარ პრადეშის შტატში პოლიციამ ტყვია დაუშინა სტუდენტთა მშვიდობიან დემონსტრაციას. სტუდენტთა დახვრეტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად შტატის სტუდენტთა რვა უდიდესმა კავშირმა ვაძოაცხადა საყოველთაო გაფიცვა. დაიხურა ბევრი კოლეჯი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები.

როგორც ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, მთელი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის ეკისრება უტარ პრადეშის ასლანდელ მთავრობას, რომელსაც მეთაურობს რეაქციული პარტიების ბლოკი. ეს მთავრობა ხელს უშლის მთელი რიგი პროგრესული ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობას.

პროვოკატორებს გაანიჩენი გამოუტანეს

ბერლინი, 29 ოქტომბერი. (საქდესი). ფაშისტური სასიათის წამქეზებელური მასალების გავრცელებისათვის ბერლინის ქალაქის სასამართლომ ორი წელი მიუსაჯა ამერიკის მოქალაქეს ფრანკ კინგს და ერთი წლისა და სამი თვის პატიმრობა ინგლისის მოქალაქეს მაიკლ ვუდბრიჯს. ამას თუწყება ადნის საააგენტო.

ისინი დაატიმრეს 1970 წლის ივლისში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში დანაშაულის ადგილზე. პროვოკატორები აგრეცელებდნენ ცილისმწამებლურ მასალებს ფაშისტური სიმბოლოებითა და ლოზუნგებით, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაცისტურმა პარტიამ გამოუშვა.

ლეონ ოთხი მატჩია

საკავშირო ჩემპიონატის ფინიშთან დიდი გასაჭირი ადგიათ აუტსაიდერებს — იმ გუნდებს, რომლებსაც უმაღლესი ლიგის დატოვება იმუქრებათ. ამიტომ ყოველ შეხვედრას მათი მონაწილეობით დიდი ინტერესით მოელიან.

ოთხ ასეთი მატჩთან გვეკნება საქმე დღეს. ქუთაისის ტორპედოელთათვის შეხვედრას საკუთარ მოედანზე ტამკენტის „პახტაკორთან“ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. როგორც იტყვიან, მათ უკანასკნასი გზა აღარა აქვთ — მხოლოდ გამარჯვებას უნდა ეცადონ. არანაკლებ საინტერესოა ერევნის „არარატისა“ და ბაკოს „ნეფტჩის“ თამაში ერევანში. „ჩერნომორეცსაც“ ყველაზე პასუხსაგები ბრძოლა მოელის მოსკოვის „სპარტაკთან“. რაც შეეხება ორჯონიკიძის „სპარტაკს“, რომლის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილია, მაგ მატჩი ექნება დონეცკის „შახტიორთან“.

ტურნირები სოჭსა და ტირასპოლში

სოჭში გრძელდება გროსმაისტერთა და ოსტატთა ტურნირი ჭადრაკში. გათამაშდა 11 ტური. გროსმაისტერთა შორის ლიდერია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი — 9 ქულა. ლ. შტეინს 7 ქულა აქვს. ოსტატთა შორის დაწინაურდა გ. კუზმინი — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ტირასპოლში მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება რუსულ შაშში ქალთა შორის. გათამაშდა 11 ტური. ლიდერია კალინინელი ოსტატობის კანდიდატი ტ. სტეპანოვა, რომელსაც 10-დან 7 ქულა აქვს. ამდენივე ქულით 11-დან მეორე ადგილზეა ი. აიგულინაიტი (ვილნიუსი).

ლარსენი ასპელეზს ლარსენს...

იუგოსლავიაში მყოფმა ცნობილმა დანიელმა გროსმაისტერმა ბ. ლარსენმა განაცხადა, რომ იგი არა მარტო გაიმარჯვებს მომავალ საზონთაშორისო ტურნირში, არამედ 1972 წელს მსოფლიოს ჩემპიონ ბ. სპასკისაც შეხვდება. „ყოველივე ამაში დარწმუნებული რომ არ ვიყო, არც დაეიწყებდი თამაშს“.

ბ. ლარსენი ფიქრობს, რომ საზონთაშორისო ტურნირის მონაწილე ოთხივე საბჭოთა გროსმაისტერი იბრძოლებს პირველ ექვსეულში (მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი, ლ. პოლუგაევსკი, მ. ტალი და ე. გელერი) ყველაზე მეტი შანსი აქვს ე. გელერს.

ასპარეზოგათა კანორამა

ფეალგურთი. საკავშირო ჩემპიონატის ფინიშთან ლიდერმა — მოსკოვის „დინამომ“ მეორე ქულა დაკარგა, ფრედ — 5:5 დაამთავრა მატჩი კასპის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდთან. ფრედ — 7:7 დამთავრდა აგრეთვე შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ბალტიკას“ შორის. კიევის დინამოელებმა მოუგეს მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივს“ 6:2.

მაგიდის ჩოგბურთი. დამთავრდა ავსტრიის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ოქროს მედალი დაისაკუთრა სვეტლანა გრინბერგმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ვ. ჰენდრიკსენი (გფრ) 3:2. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო უნგრელი ტიბორ კლამპარი.

ფეხბურთი. „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეორე ზონაში ბათუმის „დინამომ“ ფრედ — 0:0 დაამთავრა მატჩი ვოლგოგრადის „სტალთან“, გორის „დილამ“ მოუგო ტაგანროგის „ტორპედოს“ 5:2. „ბ“ კლასის მეორე ზონის პირველი ჭეიჭგუფის გუნდების მატჩების შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (ბარანსკი) — „კახეთი“ (თელავი) 1:0, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:1, „სპარტაკი“ (რიაზანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:1, „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) — „გურია“ (ლენინაკანი) 0:3, „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) — „მერცხალი“ (მახაჩკალა) 2:1.

მრავალდღიანი ველოსიპედი. გაეცალა 1.700 კილომეტრი, საკავშირო მრავალდღიანი ველოსიპედოლის მონაწილეებს უკვე ფინიშში ჰქონდათ. სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა კიშინიოველმა ირმიელმა სპორტსმენმა დიმიტრი ტრიშინმა. გუნდური ადგილები ასე განაწილდა — შეიარაღებული ძალები, „ბურევესტნიკი“, „დინამო“.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

სტოკჰოლმი. საპასუხო შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ევროპის პირველობაზე შვეიცარიასა და ირლანდიის ნაკრებთა შორის დამთავრდა შეედების გამარჯვებით 1:0. პირველი შეხვედრის შედეგი იყო 1:1.

სოფია. ბულგარეთის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე ამხანაგურ მატჩში დაამარცხა რუმინეთის გუნდი — 5:1.

ბასბერნა. მარიოს ნაკრებისა და იუგოსლავიის საკლუბო გუნდის „ვოიეოდინას“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ხარაგონა. ესპანეთის ნაკრებმა საწვრთნელ თამაშში დაამარცხა საბერძნეთის გუნდი 2:1.

საფეხბურთო ეროზაციკა

ფეხბურთელების სახელებს არქმევენ

● ათასობით ბავშვს, რომლებიც ბრაზილიაში იბადება, ფეხბურთელების სახელებს არქმევენ. ეს განსაკუთრებით გაზშირდა ახლა, ბრაზილიის ნაკრების მიერ მსოფლიოს ჩემპიონობის მესამედ მოპოვებამ შემდეგ.

პორტო ალეგრეში, რიო გრანდე დო სულის შტატის მთავარ ქალაქში, ერთ ოჯახს ტყუპი ბიჭები შეეძინა. მათ ეევრალდო და რიეელინო დაარქვეს!

კოლიციელიც ამას ჰქვია!

● იტალიის გაზეთები ამას წინათ იუწყებოდნენ ერთ საკმაოდ უცნაურ პროცესზე. პირდაპირი დამნაშავეა 26 წლის პოლიციელი ვინმე ორნინო კვარანტა. არაპირდაპირი „დამნაშავე“ კი სახელოვანი ფეხბურთელი რივა!

ეს სამწუხარო ამბავი მსოფლიო ჩემპიონატის დროს მოხდა. მიმდინარეობდა მატჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იტალიის გუნდებს შორის. პოლიციელი კვარანტა სარდინიის ერთ-ერთი ქალაქის მოედანზე პოსტზე იდგა და თანაც ტრანზისტორით ისმენდა მატჩს. როდესაც რივამ ჯერმანელთა კარში ბურთი გაიტანა, პოლიციელს ისე გაეხარდა, რომ სროლა ატეხა! გამვლელი მოქალაქე ჯუზეპე მური ტყვიით განგმირული დაეცა.

ალბერტო სორდი და სივორი

● ბამოჩენილი იტალიელი კინომსახიობი ალბერტო სორდი ამ ბოლო ხანებში ხშირად გვევლინება კინორეჟისორადაც.

ახლა სორდი იღებს კინოკომედიას, რომელსაც „პრეზიდენტი“ ჰქვია. კომედიაში იქმნება ფრიად მხიარული სიტუაციები ფეხბურთის ერთ-ერთი კლუბის პრეზიდენტის გარშემო. მთავარ როლს ასრულებს ცნობილი ფეხბურთელი სივორი. ფილმის გადაღება ახლა რავენაში (იტალია) მიმდინარეობს.

ტელევიზია

30 ოქტომბერი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 12.05 — მხატვრული ფილმი — „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.30 — „ანეზადებები, 18.35 — „ჩვენ — საბჭოთა ხელისუფლებ!“ (გადაცემა მეოთხე), 18.55 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 19.15 — „იავნანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 19.50 — კინონარკვევი, 20.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „საქართველოს ფერადი ტელევიზია — მუსიკალური პროგრამა, 21.10 — ტენესი უილიამსი — „მინის სამხეცე“ — საქართველოს ტელევიზიის დადგმა (პრემიერა), 22.45 — „სატელევიზიო ალმანახი“.

31 ოქტომბერი

11.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.30 — „საბჭოთა საქართველო 50“ — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლო“ — კასპის რაიონი (განმეორებით), 13.30 — ეთერშია ახალგაზრდობა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოობიექტივი“ (განმეორებით), 16.30 — „მეცნიერული კომუნიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად“, 16.45 — კინოპროგრამა, 17.25 — ახალი წიგნები, 17.30 — „ამერიკა არჩევნების წინ“ — საუბარი საერთაშორისო თემაზე (გადმოცემა მოსკოვიდან) — სტუდიაშია საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს კომენტატორი ა. დრუჟინინი, 18.00 — გადაცემა „ქნინის ხეობაში“, 18.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.30 — მოსწავლეთათვის ციკლიდან „მუსიკალური ფიქტორინა“, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო“ (მოსკოვი) — სკა (როსტოვი). მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.10 — „ირმის ნახტომი“. სატელევიზიო ჟურნალი, 21.00 — მხატვრული ფილმი „ეროონები“, 22.35 — „მუსიკალური ფოსტა“ — „კონცერტი მაკურებელთა თხოვნით“.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ციტატრები

30 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბაიადერა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნინმა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — წმინდანები ჯოჯოხეთში.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

კომუნისტი
თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსა — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-37-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66442 ფ 04478

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.